ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4362147

ნომერი: AR1658271

თარიღი : 01.02.2019

გაცემის თარიღი : 05.02.2019

გაცნობის თარიღი : 11.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , N 4/10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გეგელია პ/ნ 01008016809
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 24"ა" ბ. 79

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: კონფიდენს გრუპი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 2052279884
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ოზგურ დურდაბაქი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01197002613

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: რაუფ ხიდიროვ

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2019 წლის 01 თებერვლის AR1658271 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ერეკლე II ქ. N4/10-ში (ძეგლი) არსებული შენობსი რეკონსტრუქციის ნებართვის გაცემის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ანაზომებზე არ არის დატანილი საკადასტრო საზღვრები, ღერძები, ღერძებს შორის მანძილები და ნიშნულები; ამასთან, წამოდგენილი იქნეს დეტალური ანაზომი (მათ შორის შაბლონები, დეტალები);
2. წარმოდგენილი კვლევები და დასკვნები ხელმოწერილი იქნეს შემსრულებლის მიერ;
3. განმარტებით ბარათში ასახული იქენს სარეაბილიტაციო სამუშაოები, წარმოდგენილი იქნეს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები - არსებული, საპროექტო;
4. არ არის წარმოდგენილი ტოპოგეგმა არსებობის შემთხვევაში ხე-ნარგავებისა და ხაზობრივი ნაგებობების დატანით. მათი მოჭრა/გადარგვა გადატანის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი უწყებების თანხმობები;
5. არ არის წარმოდგენილი სურლყოფილი საპროექტო გენგეგმა, ამასთან, გენგეგმაზე და გეგმებზე საკადასრო საზღვრების კონფიგურაცია არ შეესაბამება საკადასტრო გეგმას;
6. საპროექტო კიბე ეწყობა საზოგადოებრივ სივრცეში, წარმოდგენილი იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა;
7. სახოგადოებრივ სივრცეში კიბის მოწყობასთან და კავშირებით გათვალისწინებული იქნეს საზოგადოებრივ სივრცეში შეჭრის ნორმები;
8. ირღვევა სამეზობლო მიჯნები;
9. წარმოდგენილი იქნეს სრულყოფილი ჭრილები;
10. ჩრდილოეთის მხრიდან პროექტით საკადასტრო საზღვრებს გარეთ შეცვლილია გურტის სიმაღლე (იჭრება მიწა) და ეწყობა კიბეები - წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი უწყების თანხმობა;
11. წარმოდგენილი იქნეს სრულყოფილი კონსტრუქციული პროექტი; განმარტებითი ბარათი;
12. წარმოდგენილი იქნეს სრულყოფილი მშენებლობის ორგანიზების პროექტი;
13. წარმოდგენილია ძეგლის დემონტაჟის პროექტი; განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. ამასთანავე განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". ამავე კანონის მე–3 მუხლის თანახმად: "ძეგლის რეკონსტრუქცია – დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება";
14. წარმოდგენილი იქნეს განახლებული ფოტოები დღეის მდგომარეობით (დათარიღებული);
15. ფოტომონტაჟზე მითითებული იქნეს მასალა, ზომები, ნიშნულები; წარმოდგენილი იქნეს ფოტომონტაჟები რეალურ განაშენიანებაში ჩვენებით;
16. განმცხადებლის უფლებამოსილება არ დგინდება. წარმოსადგენია შპს „კონფიდენს გრუპის“ მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა;
17. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის, წესდებით განსაზღვრული წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს მისი ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.